MES 7 20 0000671871

07/08/2020

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ნატალია შანიძე -** შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
3. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
4. **ირმა ბარბაქაძე -** შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. **ავთანდილ აბდუშელიშვილი -** შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
6. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
7. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
8. **გრიგოლ მურღულია** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნინო ჟვანია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
**თამარ რატიანიძე -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
**ნათია მჭედლიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს ეტალონი 2015**
სკოლის დირექტორი - საშა ლეკიაშვილი
სკოლის დირექტორის მოადგილე - მანანა კაკაშვილი

**ა(ა) იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა**
სკოლის დირექტორი - არქიმანდრიტი ილია ნასიძე
სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - ნაილი თაბაგარი
სკოლის ბუღალტერი - ხათუნა ელყანიშვილი

**ა(ა) ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია**
სკოლის აღმასრულებელი დირექტორი - დეკანოზი ბორის ნიჩიპეროვიჩი
სკოლის დირექტორის მოადგილე - თინთინ გვერწითელი
სკოლის დირექტორის მოადგილე - მანანა კაკაურიძე

**შპს პოლიგლოტი**
სკოლის დირექტორი - მზია დაუშვილი

**შპს სკოლა გიმნაზია პირველი**
სკოლის დამფუძნებელი - მანანა ბაკურაძე
სკოლის დირექტორი - ნინო ოქროჯანაშვილი
სკოლის კონსულტანტი - მაკა ტუკვაძე

**4.ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისექსპერტები (შემდგომში- ექსპერტე ბი):**

**შპს ეტალონი 2015**
ლელა ფიცხელაური
მაკა ჭიაბერაშვილი

**ა(ა) იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა**
ვერა ყურულაშვილი
ნინო მუმლაძე

**ა(ა) ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია**
ნინო ბალანჩივაძე
თამარ ჩხიკვაძე

**შპს პოლიგლოტი**
ნატო გაბოშვილი
ნინო მელქაძე

**შპს სკოლა გიმნაზია პირველი**

ლელა ფიცხელაური
მაკა ჭიაბერაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი გიგიბერია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.
სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის საშუალებით) 2020 წლის 30 ივლისს, 16:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

***სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:***
**1.** შპს ეტალონი 2015 - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
**2.** ა(ა) იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
**3.** ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
**4.** შპს პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
**5.** შპს სკოლა გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი ამიტომ დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

*1. შპს ეტალონი 2015 - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.*

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მაკა ჭიაბერაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

*1.1.* ექსპერტის განცხადებით, სკოლა ეტალონი 2015 -ის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენდა ზრუნვა გარემოზე. გარდა იმისა, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა ეკო კლუბი, ასევე იგეგმებოდა და ხორციელდებოდა ბუნების დაცვითი პროექტები. ექსპერტის განმარტებით, სკოლა გარემოს მოფრთხილების პრაქტიკულ მაგალითს აძლევდა მოსწავლეებს. მაგალითისთვის, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ მშენებლობის პროცესში არ მოჭრა და შეინარჩუნა ნაძვი , რომელიც შენობის ცენტრში იდგა. ექსპერტის განცხადებით, ასევე, სკოლის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენდა ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვებისთვის სწავლების სრულად დაფინანსება.

*1.2.* ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებზე და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარზე. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ორივე სართულზე დამონტაჟებული ჰქონდა ცეცხლმაქრები, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოებისათვის საჭირო ცეცხლმაქრების რაოდენობა უნდა დადგენილიყო საევაკუაციო გეგმით, რომელიც გასაახლებელი იყო, ექსპერტის განმარტებით, რთული აღმოჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის საჭირო რაოდენობის დადგენა.

*1.3.* ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება აკმაყოფილებდა დებულებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის პირობების შემოწმების სამივე სტანდარტს და სკოლა, თავის მხრივ, მზაობას გამოხატავდა გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ეტალონი 2015 - ის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200- ით განსაზღვრის საკითხი.

*კენჭისყრის შედეგები:*

წინააღმდეგი - 0

***გადაწყვეტილება:***
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შპს ეტალონი 2015 - ს (ს/კ440391933) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით.

**2.** ***ა(ა) იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.***

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ვერა ყურულაშვილმა და ნინო მუმლაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
*2.1.* ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები სკოლამ სრულად გაითვალისწინა, რომელიც ეხებოდა სამივე სტანდარტს, კერძოდ, ექსპერტმა აღნიშნა რომ, სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას ყურადღება მიქცეოდა სკოლის საათობრივი ბადის და კლასების მიხედვით მოცემული საათობრივი ბადის ჟურნალში მოცემული საგნის შესაბამისობას, სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებულიყო ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენის ნაწილები და სტრუქტურა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა სტაბილურად და მყარად მუშაობდა, გააჩნდა პრინციპები, რომლებსაც წლების განმავლობაში მისდევდა. ექსპერტთა რეკომენდაცია წარმოადგენდა მეტი ინოვაციის შეტანას მოსწავლეებთან მუშაობაში, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან გასაუბრებისას მათი გამოხატეს კეთილგანწყობა და სიყვარული სკოლის მიმართ.
საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მაკა მამფორიამ მიმართა კითხვით დაწესებულებას, მოსწავლეთა დამოუკიდებლობისა და ავტონომიის შესახებ, თუ ფიქრობდა სკოლა რაიმე ღონისძიების განხორციელებას.
დაწესებულების დირექტორის მოადგილის განცხადებით, სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შექმნა მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის დებულება, მისივე განმარტებით,

დებულების შესაბამისად ჩამოყალიბდებოდა საინიციატივო ჯგუფი და მათი უფლება-მოვალეობები გაიწერებოდა, საინიციატივო ჯგუფი, სექტემბრიდან, ჩაერთვებოდა სასწავლო პროცესში როგორც დამოუკიდებელი ორგანო.

საბჭოს წევრმა ბატონმა გრიგოლ მურღულიამ მიმართა კითხვით, რა პრაქტიკა ჰქონდა სკოლას მანამდე, როგორ ხდებოდა მოსწავლეების თვითგამოვლენა.

დაწესებულების დირექტორის მოადგილის განცხადებით, სკოლა არ ზღუდავდა მოსწავლეებს, მათ ჰქონდათ უფლება მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში.

საბჭოს წევრმა, ბატონმა გრიგოლ მურღულიამ მიმართა კითხვით დაწესებულებას საღვთო სჯულთან დაკავშირებით, რა პროგრამით და რომელი სახელმძღვანელოთი ისწავლებოდა საგანი.

დაწესებულების დირექტორის მოადგილის განმარტებით, სკოლა ხელმძღვანელობდა საპატრიარქოს საგანმანათლებლო ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციებითა და პროგრამით. მისივე თქმით, შედგენილი იყო პროგრამა, მიზნები გაწერილი, კრიტერიუმები ჩამოყალიბებული. დაწესებულების დირექტორის მოადგილის განცხადებით საგანში მოსწავლეები ფასდებოდნენ ჩათვლის სისტემით, მიღებული შედეგი არ ახდენდა გავლენას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დონეზე.

*2.2.* ექსპერტის განცხადებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის უფრო დიდი ფართისა და დიდი ზომის ფანჯრის ადაპტირებული ოთახის გამოყოფის შესახებ, რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა და გამოასწორა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა) იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200- ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ა(ა) იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლას(ს/კ236098209) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით.

***3. ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.***

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და თამარ ჩხიკვაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

*3.1.* ექსპერტმა, ქალბატონმა, ნინო ბალანჩივაძემ, საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელში სრულად იყო ასახული გიმნაზიის მატერიალური რესურსი, ასევე რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვის დაყენებას და სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს.

*3.2.* ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა ლაბორატორიული აღჭურვილობის სრული კომპლექტი და შეესაბამებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებულ სარეკომენდაციო ჩამონათვალს.

ექსპერტის თქმით, საბუნებისმეტყველო კაბინეტი განთავსებული იყო N2 შენობის 1-ლი სართულის საკლასო ოთახში, ქიმიური ნივთიერებები შენახული იყო სათანადო წესების მიხედვით, ლაბორატორიაში ასევე იყო სველი წერტილი, ექსპერტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიას ჰქონდა ფანჯარა, საჭირო იყო გამწოვის დაყენებაც. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ადმინისტრაციას განემარტა, რომ გამწოვის არსებობა ლაბორატორიაში მეტად მნიშვნელოვანი იყო უსაფრთხოების ნორმების დასაცავად. ექსპერტმა, ქალბატონმა თამარ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ ქიმიის პედაგოგი აქტიურად მუშაობდა და თანამშრომლობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან.

გიმნაზიის წარმომადგენელმა, საბჭოს სხდომაზე, წარმოადგინა გამწოვის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი/ქვითარი და აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან, ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების დროს, მასწავლებლები და მოსწავლეები შეძლებდნენ მის ინტენსიურად გამოყენებას.

*3.3.* ექსპერტის ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, გიმნაზიას მიეცა რეკომენდაცია, მშობელთა კითხვარის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა განმარტა, რომ უმჯობესი იქნებოდა შექმნილიყო ჯგუფი, რომელიც მუდმივად იმუშავებდა სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების ამსახველი ერთიანი დოკუმენტის შექმნაზე.

ექსპერტის თქმით, გიმნაზია აკმაყოფილებდა დებულებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის პირობების შემოწმების სამივე სტანდარტს და სკოლა, თავის მხრივ, მზაობას გამოხატავდა გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600- ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიას (ს/კ 218082848) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით.

***4. შპს პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.***

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნატო გაბოშვილმა და ნინო მელქაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

*4.1.* ექსპერტის განცხადებით, სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა დაწესებულების მატერიალური რესურსი, სკოლას ჰქონდა დახურული, თანამედროვე სტანდარტებით

მოწყობილი სპორტული დარბაზი, ახლად აშენებული შენობის პირველ სართულზე, დაწესებულებას ასევე ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი შეადგენდა 9809 ერთეულს.

ექსპერტმა აღნიშნა , რომ დაწესებულებას განაცხადი 400 მოსწავლეზე ჰქონდა წარმოდგენილი, სკოლის მატერიალური რესურსი იძლეოდა შესაძლებლობას მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა 300 დან გაზრდილიყო 350 მდე. ექსპერტის განმარტებით, არსებული ფართი, ადამიანური და მატერიალური რესურსი (საკლასო ოთახები, ინვენტარი(მერხი, სკამი) საკმარისი იყო მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხებოდა, თუმცა სკოლის ორივე შენობაში შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო მათი საჭიროებების გათვალისწინებით, თითოეული შენობის შემოსასვლელში დამონტაჟებული იყო პანდუსი. ექსპერტის თქმით, სკოლის პირველ შენობაში, მეორე და მესამე სართულებამდე წვდომა შესაძლებელი იყო კიბის უჯრედებზე დამონტაჟებული პანდუსებით, ხოლო სკოლის მეორე შენობაში დამონტაჟებული იყო ლიფტი.

*4.2.* ექსპერტის განცხადებით, სკოლაში იგრძნობოდა დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო, სკოლაში ყველა მასწავლებელს ხელს უწყობდნენ გამოევლინა შესაძლებლობის მაქსიმუმი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც მასწავლებლები და მოსწავლეები, ასევე მოსწავლეების მშობლები, კანონიერი წარმომადგენლები, რაც დადასტურდა მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პოლიგლოტის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350- ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შპს პოლიგლოტს (ს/კ 200160798) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით.

*5. შპს სკოლა გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.*

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მაკა ჭიაბერაშილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

*5.1.* ექსპერტის განცხადებით,ვიზიტი განხორციელდა განმეორებით, რადგან სკოლას ხარვეზების გამოსწორების მიზნით განესაზღვრა 60დღიანი ვადა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ 60დღიანი ვადა გამოიყენა ეფექტურად, სკოლას ხარისხის მართვის მიმართულებით ხელშეკრულება გააფორმა კონსულტანტთან და მისივე თქმით იგრძნობოდა სკოლაში ხარისხის ამაღლება.

*5.2.* ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მატერიალური რესურსების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში არ ჰქონდა წარდგენილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რაც გამოსწორებული დახვდათ ექსპერტებს ვიზიტის პერიოდში. ექსპერტის თქმით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც სკოლას პირველი ვიზიტის პერიოდში განთავსებული ჰქონდა ნულოვან სართულზე, სადაც არ იყო პირველადი განათება, ასევე გამოსწორებული დახვდათ. ამ ეტაპზე, ექსპერტის განმარტებით საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გადატანილი იყო დაწესებულების მესამე სართულზე და სრულად აკმაყოფილებდა შესაბამის მოთხოვნებს. ექსპერტის განცხადებით, გათვალისწინებული იყო წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციებიც. ექსპერტმა, ქალბატონმა ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა ისიც, რომ სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მითითებული ვადების დაცვით მიმდინარეობდა სახანძრო/საევაკუაციო კიბის მონტაჟი.

*5.3.* ექსპერტის განმარტებით, პროგრამული ნაწილის მიმართულებით სკოლამ, შეძლებისდაგვარად, გამოასწორა ხარვეზები. მან აღნიშნა, რომ პირველი ვიზიტის პერიოდში შემაჯამებელი დავალებების მიმართულებით, სკოლა მხოლოდ ერთი ტიპის დავალებებს იყენებდა, ტესტური სახით, ხოლო მეორე სემესტრში, სკოლამ დაიწყო კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების გამოყენება.

*5.4.* ექსპერტის განცხადებით, ადამიანური რესურსის მიმართულებით, პირველი ვიზიტის პერიოდში, მასწავლებელი რომელიც არ აკმაყოფილებდა შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, განთავისუფლებული იყო სკოლიდან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ხარისხის ამაღლებასა და განვითარებაზე იყო ორიენტირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა ის ხარვეზი, რომელზეც იყო საუბარი გამოსწორებული და აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს სკოლა გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა გიმნაზია პირველის (ს/კ 243571639)ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 17:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გიგიბერია გიორგი

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია